



25.03.2014 18:41

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატები](#)
- [მულტიმედია](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსიები](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » „მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, RMG-ს საყდრისის სიახლოვეს საქმიანობის გაფართოების უფლება მისცეს“

„მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, RMG-ს საყდრისის სიახლოვეს საქმიანობის გაფართოების უფლება მისცეს“

2014.03.14 | 11:37

Like Be the first of your friends to like this.

0

0



არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც RMG Gold-ს ეძლევა ნებართვა, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის სიახლოვეს თავისი საქმიანობა გააფართოვოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და კულტურის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა განცხადება გაავრცელეს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის 9-წლიანი კვლევების უარყოფა უსამართლობაა.

ჩვენ, კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები და პირები არ ვეთანხმებით პრემიერ-მინისტრის გუშინდელ კომენტარს კულტურულ მემკვიდრეობასთან, კერძოდ, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით. უდიდესი უსამართლობაა, 9-წლიანი საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და იმ ფართო საზოგადოებრივი ინტერესის უგულვებელყოფა, რაც არსებობს საყდრისი-ყაჩაღიანის მიმართ.

პრემიერის კომენტარი ბადებს ეჭვს, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც RMG Gold-ს ეძლევა ნებართვა, გააფართოვოს თავისი საქმიანობა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის სიახლოვეს.

ჩვენ, საქართველოს საზოგადოების სახელით, ვეწინააღმდეგებით ასეთ გადაწყვეტილებას. მოვითხოვთ კულტურის მინისტრის მიერ გერმანიის მხარისათვის მიცემული დაპირების შესრულებას და საერთაშორისო ექსპერტების მოწვევას არქეოლოგიური ობიექტის მნიშვნელობის მიუკერძოებელი შეფასების მიზნით. ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოება საყდრისი-ყაჩაღიანის სიახლოვეს გამოიწვევს კულტურული მემკვიდრეობის

განადგურებას, გარემოს დაბინძურებას, და საფრთხეში ჩააგდებს გარშემო დასახლებული ადამიანების ჯანმრთელობას. ყოველივე ეს კიდევ უფრო დაამძიმებს რეგიონში არსებულ სოციალურ კრიზისს“, - აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ „ICOMOS-საქართველოს“, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი–თბილისის, GEOAIR-ს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის, მწვანე ალტერნატივას, EMC-ს, ხელოვნების ინტერდისციპლინური კვლევის ლაბორატორიის, „თბილისის ჰამქარის“, „ძეგლის მეგობრის“ და „საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმის“ წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, 13 მარტს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ [საყდრისი ოქროს უძველესი მალარო არ არის](#) . პრემიერის თქმით, სპეციალურმა კომისიამ, რომელიც საყდრისის საბადოს 2 თვის განმავლობაში სწავლობდა, დადო დასკვნა, რომ საბადო განსაკუთრებულ ადგილს არ წარმოადგენს და ამ დასკვნის მხედველობაში მიღება უნდა მოხდეს.

„ინვესტორმა 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა უკვე საქართველოს ეკონომიკაში. ამ კომპანიას დასაქმებული ყავს 3 000 მუშახელი. მათ უკან დგას 3 000 ოჯახი. თუ იწამლება გარემო, ამას სჭირდება გამოსწორება. ამაზე გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა დადოს დასკვნა, რომ გარემო იწამლება. რა არის საჭირო ამის გამოსასწორებლად, უნდა დაიგეგმოს სპეციალური ღონისძიებები“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

Like Be the first of your friends to like this.

g+1 0

Tweet 0

Share



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin